

დესტრუქციულ - ჰორიზონტალური ურთიერთობის ფორმები და
მათი მიმართება პიროვნულ მედეგობასთან

თინათინ ბუხაიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ბულინგის, როგორც დესტრუქციულ-ჰორიზონტალური პროცესის სამ მთავარ აქტორს - ბულერს (მომალადეს), მსხვერპლს, მსხვერპლ-ბულერსა და მედეგობას შორის ურთიერთკავშირი ქართველი მოზარდების მაგალითზე. ასევე ნაკვლევია სქესთა შორის განსხვავებები, ბულინგის ფორმების (ვერბალური, ფიზიკური, სოციალური) გამოყენების თვალსაზრისით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 194 მოზარდმა, აქედან 92 მამრობითო, ხოლო 102 მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა. მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 14-დან 16 წლამდე. კვლევის მეორე ეტაპისთვის შეირჩა მოზარდთა ის კატეგორია, რომელთაც ქულათა საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა (121 მონაწილე). მათ შორის „თანატოლთა ურთიერთობის კითხვარი“ - ის მეშვეობით გამოიყო ბულინგის სამი ტიპი და საბოლოოდ დადგინდა მათი ურთიერთმიმართება მედეგობასთან. კვლევის შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირები მოცემულ ცვლადებს შორის. მედეგობასთან მიმართებაში, მამრობითი სქესის წარმომადგენლებში ვერბალური ბულინგი აღმოჩნდა ერთ-ერთი პრედიქტორი. ხოლო მდედრობითი სქესისის წარმომადგენლებში დაფიქსირდა ძლიერი დადებითი კავშირი ვერბალურ ბულერსა და მედეგობას შორის. ასევე დადგინდა რომ რაც უფრო მაღალი იყო მედეგობა, მით უფრო დაბალი იყო მსხვერპლობის მაჩვენებელი. რეგრესიული ანალიზის მეშვეობით დადგინდა რომ მდედრობით სქესში, ფიზიკური მსხვერპლობა მნიშვნელოვანი პრედიქტორია მედეგობის. ბიჭებში კი ვერბალური მსხვერპლობა იყო თითქმის უპირობო პრედიქტორი. კორელაციური კავშირები მსხვერპლ-ბულერსა და მედეგობას შორის, არც სქესის და არც ბულინგის ფორმების მიხედვით დაფიქსირდა. მხოლოდ, მამრობითი სქესის, სოციალური ტიპის მსხვერპლ-ბულერსის მაჩვენებლის გაზრდასთან ერთად იკლებდა მედეგობის მაჩვენებელი.

საძიებო სიტყვები: მედეგობა, ბულინგი, ბულერი, მსხვერპლი, მსხვერპლ
ბულერი